



ნომადი პართია

**ფულის ერთეულის აღწერილობა ერთ ტერმინთან
დაკავშირებით (ლარი)**

ტერმინი **ლარი** XII საუკუნიდან დასტურდება ქართულ წერილობით ძეგლებში, მაგალითად, იგი მხოლოდ „ვეფხისტყაოსანში“ ჩვიდმეტჯერ გვხვდება.

მოვიყვანოთ მაგალითები როგორც „ვეფხისტყაოსნიდან“, ისე სხვადასხვა ნაწარმოებებიდან:

„ჩემსაცა მქონდა ურიცხვი, უსახო **ლარ-საცხებელი**“ (რუსთ., 1966: 1056/2).

„დილასა **ლარი** ყველაი უჩვენა, გაახსნევინა“ (იქვე: 1079/1).

„თქვენ მოგცე **ლარი** ყველაი მე, ჩემი ნაალაფავი“ (იქვე: 1315/4).

„მოატყდეს მოქალაქენი, **ლარსა** ვინ ჰყიდდა, თუ ხილსა“ (იქვე: 1021/2).

„გაქვს **ლარი**, განძი, სალარო“ (ამირანდარეჯანიანი: 764/2).

„მაშინვე ოცდაათი ჯამაზა შეკაზმა ფიცხლა-მავალი და მრავალფერი სახელმწიფო **ლარი** და ძღუენი აჰკიდა“ (ვისრამიანი, 1962: 65/16).

„ფაიკი დია საბატოთა **ლართა** ტანსა შემოსა და წავიდა“ (შაჰ-ნამე, 1975: 568/8).

„ათი ათასსა ცხენსა მძიმედ **ლარ-საფენი** აკიდეს“ (რუსუდანიანი, 1957: 95/23).

ქართულ წყაროებში XVI საუკუნიდან დასტურდება **ლარ**-იდან ნაწარმოები სიტყვა **სალარო** – საგანძურის შესანახი ადგილის მნიშვნელობით. მაგალითად:

„მეფემან მოაღებინა მრავალი და ურიცხვი სალარო, მრავალი გასცა“ (შაჰ-ნამე, 1975: 173, 34-35).

„თქვენმა შვილმა საჭურჭლისა კლიტენი ითხოვა და სალაროს ნახვა სწადისო“ (რუსუდანიანი, 1957: 25/4)...

ქართულ ლექსიკონებში **ლარი** ასეა განმარტებული:

ლარი – 1. საქონლის ნაწლავის ან მყესისგან გაკეთებული სიმი (ჩონგურისა, ფანდურისა...). 2. გაჭიმული ბაწარი (თოკი, ძაფი...) სხვადასხვა დანიშნულებისა. კედლის ასაყვანად გაჭიმული ლ. – ლარზე გაჭიმული ვაზი. – მშვილდის ლარი. – ლარივით სწორი გზა. ლარზე – მწკრივზე, მწკრივად. ვაზი ლარზე ჩაყარა. ლარს გაიტანს – იგივეა, რაც ლელოს გაიტანს. დიდი ლარი და ხაზი არ უნდა – ცხადია, ნათელია რამე (ქეგელ, 1986).

ლარი (ძვ.) ძვირფასი ნივთიულობა, – განძი, საუნჯე (ქეგელ, 1986).

ლარი – ალყა, ძალი (ს.-ს. ორბელიანი, 1991).

ლარი – სიმი (ი. აბულაძე, 1973).

ლარი – ძვირფასი განძეულობა, 2) აბრეშუმეული, ფარჩეული, ძვირფასი ქსოვილი (ი. აბულაძე, 1967).

ლარი – 618,4 ძვირფასეულობა, განძეულობა. შღრ. მოლარე (ა. შანიძე, 1957).

ლარი – კუმაში, ფარჩა (ს.-ს. ორბელიანი, 1991).

ლარი – ფარჩასა და ნაქსოვსა ყოველსავე ეწოდება (თ. ბაგრატიონი, 1979).

ლარი – განძი, ხაზინა, საუნჯე (დ. ჩუბინაშვილი, 1984).

ლარი – მშვილდის ლაშში, ძალი, სიმი, ალყა საკრავისა (ს.-ს. ორბელიანი, 1991).

ლარი – ლარული. იმერ. ფაცხა წნელით დაწნული სახლი (იქვე).

როგორც ვხედავთ, **ლარი** ქართულში ძირითადად ყოფილა ორი მნიშვნელობით: ძვირფასეულობა და საქონლის ნაწლავის ან მყესისგან გაკეთებული სიმი.

რაც შეეხება **სალაროს**, იგი ქართულ ლექსიკონებში ასეა განმარტებული: ფულის შესანახი ყუთი, კარადა. ცეცხლგამძლე ს. შენობა, ოთახი, დაწესებულება, სადაც წარმოებს ფულის ოპერაციები. თეატრის ს, შემნახველი ს. (ქეგლ, 1986);

ლარი, საუნჯე, ხაზინა, საგანძური. Касса (დ. ჩუბინაშვილი, 1984).

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ძველი ქართული ტექსტების მიხედვით, **ლარი** ნიშნავს „განძს“.

იბადება კითხვა: როდიდან და როგორ გაჩნდა ტერმინი **ლარი**, როგორც ფულის აღმნიშვნელი ტერმინი და როდიდან შემოვიდა ხმარებაში?

ლარი ქართული ფულის ერთეულის დასახელებად 1991 წელს წამოაყენა აკადემიკოსმა ვასილ ჩანტლაძემ, ხოლო იგი გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება გახდა 1995 წლის 2 ოქტომბრიდან (<https://ka.wikipedia.org/wiki/>).

როგორც ჩანს, **ლარ**-იდან წარმოებულმა სახელმა **სალარომ** (საგანძური) ქართულ ენაში, სემანტიკური გადახრით, შეიძინა ის თვისება, რაც მას გააჩნია ამჟამად და გახდა არა ძვირფასეულობის, არამედ ფულის შესანახი ადგილი (касса), რაც მეცხრამეტე საუკუნის მერე უნდა მომხდარიყო, რადგან მანამდე **სალარო** მხოლოდ საგანძურის შესანახი ადგილი იყო.

სეფიანთა ირანში (XVI-XVIII სს.) სავაჭრო მიმოქცევაში იყო ფულის ერთეული **ლარი**, რომელიც იბეჭდებოდა ირანის ქალაქ ლარში, საიდანაც მოდის მისი სახელწოდებაც, თუმცა, ქართულსა და სპარსულ ლარს შორის რაიმე კავშირი არ იკვეთება. ისინი მხოლოდ ომონიმები ჩანან.

დამოწმებული ლიტერატურა

ი. აბულაძე, 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ამირანდარეჯანიანი, 1985 – მ. ხონელი, ამირანდარეჯანიანი: ქართული პროზა, თბ., 1985.

ანვარი 1381 – 1381: فرهنگ بزرگ سخن، دکتر حسن انواری، تهران

თ. ბაგრატიონი, 1979 – თ. ბაგრატიონი, წიგნი ლექსიკონი; მასალები შეკრება, ანბანზე გააწყო, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გურამ შარაძემ, თბ., 1979.

ვისრამიანი, 1962 – ფაზრ ედ-დინ გორგანელი, ვისრამიანი; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალექსანდრე გვახარიამ და მაგალი თოდუამ, თბილისი, 1962.

ს.-ს. ორბელიანი, 1989-1991 – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1989-1991.

შ. რუსთველი, 1966 – შ. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ა. შანიძისა და ა.ბარამიძის რედაქციით, თბ., 1966.

რუსუდანიანი, 1957 – რუსუდანიანი, ი. აბულაძისა და ი. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957.

ქეგლ, 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას რედაქციით, თბ., 1986.

ა. შანიძე, 1957 – შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით, ლექსიკონი ა. შანიძისა, თბ., 1957.

დ. ჩუბინაშვილი, 1984 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

[https://ka.wikipedia.org/wiki/დამოწმება: 20.11.2018.](https://ka.wikipedia.org/wiki/დამოწმება:20.11.2018)

NOMADI BARTAIA ON THE TERM (LARI) DENOTING A MONETARY UNIT

Since the twelfth century the term **Lari** has been attested in the Georgian literary monuments mainly with two connotations: 1. treasure, 2. a cord made from the intestines of certain animals.

Lari as a currency of Georgia was proposed by Academician Vasil Chantladze on the first day of Georgia's declaration of independence in 1991, being further issued into circulation from 1995.

Apparently, the noun **salaro** (treasure) derived from **Lar-i** has acquired the meaning that it currently holds in the Georgian language, denoting the place (i.e. racka, cash desk) for preserving money rather than valuables. That must have occurred after the nineteenth century since until that time **salaro** only referred to a place for storing treasure.

In Safavid Iran (16th – 18th cc.) **Lari** as the currency unit was in circulation in trade and was printed in the city of Lar in Iran, where the name of the currency originates. However, no connection has been identified between the Georgian and Iranian Lar. They seem to be a mere homonyms.